ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7255094

ნომერი: AR11061172

თარიღი : 09.10.2024

გაცემის თარიღი : 17.10.2024

გაცნობის თარიღი : 17.10.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლომაურის , N 3-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიან მაისაშვილი პ/ნ 01024006202
- ვაჟა-ფშაველას 25ა

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "რივერ ინვესტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405637967
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს "რივერ ინვესტი" ლევან კალმახელიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 20001004247

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1424.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2602.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7025.4

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5200.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1825.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 17.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 13.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.8

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. განმარტებულ იქნას N05/1; 06/2; 07/1; 09/1 და 10/1 შენობებთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული შენობები უკვე დემონტირებულია, საჭიროა წარმოდგენილ იქნას შესაბამისი სანებართვო დოკუმენტი ან მუნიციპლაური ინსპექციის საქალაქო სამსახურის პოზიცია;
2. დემონტაჟის ორგანიზების პროექტში განხილულ იქნას მიწის ნაკვეთზე არსებულ ხე-ნარგავებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები დემონტაჟის განხოციელებისას.
3. დემონტაჟის ორგანიზების პროექტში განხილულ იქნას N5205 ელ. ქვესადგურთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მესაკუთრის პოზიცია სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით.
4. წარმოდგენილ იქნას სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზების საექსპერტო შეფასება, რომელშის უნდა დაზუსტდეს შენობის ფართობების, მისამართი და ა.შ. რომელიც შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი განაცხადზე შევსებულ და წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან;
5. დროებითი ღობის განთავსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობა. ასევე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ღობეზე მომიჯნავე ერთეულის მესაკუთრეთა თანხმობები, რომელიც უნდა იქნას ნოტარიულად დამოწმებული;
6. დამკვეთის ინფორმაციაში შესაბამის ველში შპს "რივერ ინვესტი" ლევან კალმახელიძის ნაცვლად მიეთითოს თამარ გამგონეიშვილი და მისი პირადი ნომერი - 01024065723.

- წარმოდგენილ მინდობილობაზე არ არის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა განხორციელებული. წარმოდგენილ იქნეს მინდობილობა, რომელზეც განხორციელებული იქნება კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა. წარმოდგენილ იქნეს ვალდებულების საფუძვლად დაფიქსირებული დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში, სს „თელასის“ თანხმობა.

7. ვინაიდან მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის დასკვნაში მითითებული საკადასტრო ერთეული (01.17.01.038.003) არ ფიქსირდება სადემონტაჟო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ, საჭიროა დაზუსტდეს აღნიშნული ან შესწორდეს შესაბამისად.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.